# ნორჩ ლენინელთა დიდი ზეიმი

სსრ კავშირში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავი. ამ დიდ თარიღს მიეძღვნა 18 მაისს კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართული საზეიმო შეკრება, სადაც პიონერებთან ერთად იყვნენ პარტიის, კომკავშირისა და პიონერული მოძრაობის ვეტერანები, პარტიული საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან ამხანაგებს ლ. ბრეჟნევს, ვ. გრიშინს, ა. კირილენკოს, ა. კოსიგინს, თ. კულაკოვს, დ. კუნაევს, კ. მაზუროვს, ა. პელშეს, ნ. პოდგორნის, დ. პოლიანსკის, მ. სუსლოვს, ა. შელეპინს, პ. შელესტს, ვ. შჩერბიცკის, პ. დემიჩევს, პ. მაშეროვს, ვ. მჟავანაძეს, შ. რაშიდოვს, მ. სოლომენცევს, დ. უსტინოვს, ი. კაპიტონოვს, კ. კატუშევს, ბ. პონომარიოვს.

საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ფედულოვა საზეიმო შეკრებას გახსნილად აცხადებს.

— ნახევარი საუკუნეა ცოცხლობს, ვითარდება, მტკიცდება ნორჩ ლენინელთა, რევოლუციის დიადი საქმის მემკვიდრეთა და განმგრძობთა ორგანიზაცია, — თქვა შესავალ სიტყვაში ფედულოვამ. — ვლადიმერ ილიას ძე ლენინს მებრძოლთა და აღმშენებელთა აღზრდის საუკეთესო გზად მიაჩნდა ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია. და იგი გაიზარდა პარტიის მუდმივი ზრუნვითა და ყურადღებით გარემოსილი.

... გაისმის პიონერული პატაკის ამაღელვებელი სიტყვები:

— ამხანაგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურო მდივანო, — ამბობს მოსკოვის 359-ე სკოლის მეხუთეკლასელი ანდრია მოტორინი, — ნება მიბოძეთ 25 მილიონი ნორჩი პიონერის დავალებით ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს გადავცე ჩვენი პატაკი. ამ პატაკში მოთხრობილია პიონერულ საქმეებზე, საბჭოეთის ნორჩი თაობის ერთგულებაზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უკვდავი ანდერძისადმი, ჩვენს სიყვარულსა და ერთგულებაზე მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი.

დარბაზის ტაშის გრიალში მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ბრეჟნევს მთელი ქვეყნის პიონერთა პატაკის წიგნი გადასცა.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. პოდგორნის გამოსვლას. შემდეგ ნ. პოდგორნიმ ლენინის ორდენი მიაბნია პიონერიის წითელ დროშას. ეს მაღალი ჯილდო ლენინის სახელობის საკავშირო პიონერულმა ორგანიზაციამ ლენინის ანდერძის სულისკვეთებით ბავშვთა აღზრდაში დიდი წვლილისთვის და შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით მიიღო.

* * *

საზეიმო კრებები გაიმართა, აგრეთვე, თბილისსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 97 (4607)

1972 წ. 20 მაისი, შაბათი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჯილდოები — გამარჯვებულთ

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა შეაჯამა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებებსა და ფიზკულტურის კოლექტივებს შორის 1971 წლის სოციალისტური შეჯიბრებების შედეგები.

საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს შორის გამარჯვებულად ცნო ბათუმის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი (თავმჯდომარე ე. თხილაიშვილი), რომელსაც გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა. II და III ადგილები დაიკავეს და შესაბამისი სიგელებით დაჯილდოვდნენ ქობულეთისა (ი. მჟავანაძე) და ხელვაჩაურის (რ. ჩახვაძე) რაიონების ფიზკულტურის კომიტეტები.

სპორტსაზოგადოებებს შორის I ადგილი მიეკუთვნა და გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა „დინამოს" აჭარის საოლქო საბჭოს (თავმჯდომარე მ. ცინცქილაძე). II ადგილი ხვდა „კოლმეურნის" (თ. ბოლქვაძე), III — „განთიადის" (ვ. კვაჭაძე) საოლქო საბჭოებს.

საწარმოო ფიზკულტურის კოლექტივებს შორის კომიტეტის სიგელითა და გარდამავალი თასით დაჯილდოვდა ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის (დირექტორი ა. ცინცაძე) კოლექტივი. II ადგილზეა ჩაქვის ავტოსატრანსპორტო საწარმო (ა. ჩიქოვანი), III — ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატი (ხ. მოსესოვი).

სოფლის კოლექტივებს შორის საპატიო ჯილდოს მფლობელი გახდა წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივი (თავმჯდომარე მ. აბაშიძე). მომდევნო ადგილები დაიკავეს ხელვაჩაურის რაიონის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი შ. ჩხაიძე) და ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (თ. ჭინჭარაძე) კოლექტივებმა.

ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შეჯიბრებაში გაიმარჯვა ბათუმის მე-5 საშუალო სკოლის (დირექტორი ა. სიხარულიძე) ფიზკულტურის კოლექტივმა, ხოლო სოფლის სკოლებს შორის — ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის რუსული საშუალო სკოლის (ს. აფხაზავა) კოლექტივმა.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

● ხენგელო, 18 მაისი. ჰოლანდიის ამ ქალაქში მიმდინარეობს „დიდი ოლიმპიური ტურნირი" საერთაშორისო შაშში. XIV ტურში რიგელმა ანდრეიკომ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა შვეიცარიელ კიუკენთან. ჰოლანდიელმა სეიბრანდსმა დაამარცხა კანადელი დელორიე, ხოლო კიეველმა კუპერმანმა—მონაკოელი ავლიარდი. ლიდერობს სეიბრანდსი, რომელსაც 11 ქულა აქვს 13-დან. ანდრეიკომ 10 ქულა მოაგროვა 12-დან.

● ლენინგრადი, 18 მაისი. ოლქის ძალოსანთა შეჯიბრებაში ქვესაშუალო წონის ათლეტმა, 19 წლის ვ. სმირნოვმა 138 კგ აიტაცა და ევროპის რეკორდი დაამყარა იუნიორთა შორის. წინანდელი მიღწევაც მასვე ეკუთვნოდა და 2,5 კილოგრამით ნაკლები იყო.

## მარლენ პაპავა II ადგილზეა

მიტიშჩის (მოსკოვის ოლქი) სასროლეთზე გრძელდება ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ აშშ-ს, ინგლისის, გდრ-ის, გფრ-ის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, შვეიცარიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები — ყველა იმ ქვეყნის მსროლელები, რომლებიც მიუნჰენის ოლიმპიადის ფავორიტები იქნებიან.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე 60 გასროლაში ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი გ. კოსიხი (სსრ კავშირი) და ვერცხლის პრიზიორი ჰ. მერტელი (გფრ). მათ გვერდით ვიხილეთ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი მ. პაპავა, ინგლისელი ფ. უაიტი, შვეციელი ე. სკანაკერი და სხვ.

ოლიმპიელები ამჯერად III და IV ადგილებს დასჯერდნენ: კოსიხმაც და მერტელმაც 600-დან 560-560 ქულა მოაგროვეს და როგორც მეხიკოში, კოსიხმა მერტელს ახლაც ბოლო გასროლაში უკეთესი შედეგის წყალობით აჯობა.

I ადგილი დაისაკუთრა უაიტმა — 564 ქულა. II ადგილზეა მარლენ პაპავა — 561.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა 60 გასროლა მოიგო რუმინელმა ნ. როტარუმ, რომელმაც 600-დან მხოლოდ 1 ქულა დაკარგა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ვ. ლიპოლდტი (გდრ) და 2 ქულით — ნ. რასკოვალოვი (სსრ კავშირი).

## გამარჯვება კიევში

კიევი, 18 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ რამდენიმე დღეს გაგრძელდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა იუნიორ წყალბურთელთა შორის. სარბიელზე გამოვიდნენ მოსკოვის, კიევის, თბილისის, ალმა-ათის, ლვოვისა და ხარკოვის კოლექტივები.

ძლიერად ითამაშა თბილისის „დინამოს" გუნდმა, რომელმაც დაამარცხა მოსკოვის (6:2), ლვოვის (4:3), კიევის (8:3), ხარკოვის (10:2) წყალბურთელები, ფრედ (3:3) ითამაშა ალმაათელებთან და ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

თბილისის „დინამოს" იუნიორ წყალბურთელებს ასეთი მნიშვნელოვანი წარმატება ჯერ არ მოუპოვებიათ. ახალი ჩემპიონი მოამზადეს მწვრთნელებმა გ. ხარებოვმა, ვ. ბარნაბიშვილმა და ნ. შაიდულოვმა.

## [illegible]-72

## ბაიდარებით ალაზანზე

სსრ კ. 50

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავსა და თბილისის სამხატვრო აკადემიის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა ბაიდარებით ტრადიციული ლაშქრობა ალაზანზე მარშრუტით: ხადორი — ძიბახევი — ბახტრიონი — შაქრიანის ხიდი — მინგეჩაურის წყალსაცავი. ლაშქრობა, რომელშიც 20 კაცი მონაწილეობდა, ათ დღეს გაგრძელდა. სტუდენტ მოლაშქრეებს ხელმძღვანელობდნენ სპორტის ოსტატი ა. აბრამიშვილი, აკადემიის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე გ. ჯაფარიძე, მასწავლებელი თ. ნონიკაშვილი.

საქართველოს ულამაზესი კუთხის კახეთის მშვენება ალაზანი შაქრიანის ხიდიდან III კატეგორიის სირთულეს ქმნის, ხადორიდან მინგეჩაურის წყალსაცავამდე კი ტრასა IV კატეგორიას მიეკუთვნება.

სპორტსმენებს 300-კილომეტრიან დისტანციაზე ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ. ამობოქრებული მდინარე, წვიმა და ძლიერი ქარი ლაშქრობას აძნელებდა, მაგრამ ახალგაზრდების შემართებამ თავისი გაიტანა.

სპორტსმენებმა გზადაგზა დაათვალიერეს გრემის, იყალთოს, ალავერდისა და ბახტრიონის ისტორიული ადგილები, გააკეთეს ჩანახატები.

მოლაშქრეებს დიდი დახმარება გაუწიეს ახალგაზრდა ჟურნალისტებმა რ. ბაბუნაშვილმა, თ. ხარაბაძემ, ს. ჭანტურიამ.

თ. ნონიკაშვილი,
თბილისის სამხატვრო აკადემიის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებელი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ლაშქრობის მომენტები.

ს. ჭანტურიას ფოტოები.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესამე პარტია

**ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირი**

სიცილიური დაცვა

**1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 მc6 5. მc3 d6 6. კe2 მf6 7. კe3 კd7 8. f4 კe7 9. მ4b5 ლb8 10. g4 a6 11. მd4 d5**

აქამდე ყველაფერი უკვე I პარტიაში იყო. კუშნირი ცვლის თამაშის გეგმას: უარს ამბობს პაიკის მოგებაზე.

**12. cd მ:d5 13. მ:d5 კh5+**

ეს უკეთესია, ვიდრე 13. ... ed 14 0—0 0—0.

**14. მფd2?**

ზედმეტად თამამი სვლა, რაც შემდგომი სიძნელეების მიზეზი ხდება. სწორია 14. კf2 კ:f2 15. მფ:f2 ed 16. კf3 უპირატესობისთვის ბრძოლით.

**14. ... ed 15. ლf1 კf6?**

საჭირო იყო 15. ... 0—0 იერიშზე ფიქრით. ძნელია თეთრებს რაიმე კარგი ურჩიოთ.

**16. ლf2 0—0 17. g5 კ:d4 18. კ:d4 კf5 19. კd3 კ:d3?**

კიდევ ერთი შეცდომა. 19. ... კe4!-ის შემდეგ შავებს მოსაგები პოზიცია ექნებოდათ. ახლა კი თეთრებს სუსტი e4 უჯრის დაცვის შესაძლებლობა მისცეს.

**20. cd მ:d4 21. ლ:d4 ლc7 22. ეac1**

ეს უზუსტობაა. ნონამ გვითხრა, რომ 22. a3 ლa5+ 23. ლb4-ის შემდეგ თეთრებს არავითარი სიძნელეები აღარ ექნებოდათ. ახლა კი კუშნირი ინიციატივას კვლავ ეუფლება.

**22. ... ლa5+ 23 ეc3 ეac8**

არ შეიძლება 23 ... ლ:a2 24. ეa3-ის გამო.

**24. ეe1 ე:c3 25. ლ:c3 ლa4!**

ცხადია, კუშნირს ყაიმი არ სურს, მეფის ფრთის პაიკების სისუსტის გამოყენება სწადია.

**26. ლe5 ეc8**

ამ პოზიციაში მთავარია თეთრებმა e ვერტიკალი შეინარჩუნონ, თუნდაც ამისთვის პაიკის შეწირვა დასჭირდეთ. მათი შემდგომი თამაშის გეგმაა პაიკის წინსვლა h4—h5—h6, რაც ალბათ მთლიანად გაათანაბრებდა მეტოქეთა შანსებს. პარტიის შემდეგ ნონამ თქვა, რომ ამ გეგმას ხედავდა, მაგრამ ვერ მიაგნო 27. ეe2!-ს.

**27. ეc1? ეe8 28. ლd6 ლd4 29. ეc7 ლ:b2+ 30. ეc2 ლd4**

სწრაფად იგებდა 30. ... ლb1. თეთრებს მაინც ველარაფერი შველით: შავების მატერიალური უპირატესობა ერთობ დიდია.

**31. ეc7 ლe3+ 32. მფc3 d4+ 33. მფc4 b5+ 34. მფc5 ლ:d3 35. ლ:d4 ლc2+ 36. მფb6 ლ:a2 37. f5 ლ:h2 38. ლd7 ლg1+ 39. მფa5 ეf8 40. ეc8 ლ:g5 41. მფ:a6**

სამწუხაროდ, არ გადის 41. ლe8. შავი ლაზიერი ქიშით აღწევს d6 უჯრას.

პარტია გადაიდო.

**თ. გიორგაძე,**
**(ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).**

რიგა.

* * *

როგორც მოსალოდნელი იყო, ნ. გაფრინდაშვილმა თამაშის განუახლებლად დათმო პარტია. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 2:1 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

# ბრძოლა მწვავდება

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში გაიმართა კიდევ ორი ტური.

**IX ტური:** ა. ბუსლაევი — დ. გედევანიშვილი 1:0, ე. უბილავა (ყველა თბილისი) — ა. ბალავაძე (რუსთავი) 1:0, ნ. ჩახოიანი (თბილისი) — ლ. ნეუროხოვი (ბათუმი) 1:0., ე. მიქაელიანი (თბილისი) — ა. ტუზოვსკი (სოხუმი) 0:1, დ. ჯანოევი (თბილისი) — რ. დადიანი (სოხუმი) 0,5:0,5, ი. მანაშეროვი (ხაშური) — ა. რაზოვსკი (ქუთაისი) 0,5:0,5, გ. ბიბილაშვილი (გარდაბანი) — ზ. მიქაძე (გუდაუთა) 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: თ. გიორგაძე — პ. შაქარიანი (ორივე — თბილისი) და ლ. კერნაჟიცკი (ბათუმი) — მ. არჩვაძე (სამტრედია).

ბუსლაევ — გედევანიშვილის პარტიაში ორივე მეტოქე აგრესიულად იყო განწყობილი. მათ სხვადასხვა მხარეს გააკეთეს როქი და ბუსლაევმა დაიწყო აქტიური ოპერაციები ლაზიერის ფრთაზე, რასაც მალე ცენტრის პაიკის მოგება მოჰყვა. პარტიის ტექნიკური ნაწილი ბუსლაევმა უნაკლოდ ჩაატარა. უბილავა—ბალავაძის შეხვედრაში შავები დებიუტში შეცდნენ და როქი დაკარგეს. უბილავამ ძლიერი იერიში განავითარა, შავები მატერიალურად დაზარალდნენ და უკვე 24-ე სვლაზე დანებდნენ. მშვიდად წარიმართა მიქაელიან — ტუზოვსკის შეხვედრა, მაგრამ შუა თამაშში მიქაელიანს მეტოქის ტაქტიკური დარტყმა გამორჩა, რის შემდეგაც მატერიალური დანაკლისი ცხადი გახდა და 23-ე სვლაზე თეთრები დანებდნენ. ჩახოიან — ნეუროხოვის შეხვედრაში შავებმა დაახლოებით თანაბარ პოზიციაში პაიკი შეწირეს და სამაგიეროდ ვერაფერი მიიღეს. ჩახოიანმა მატერიალური უპირატესობა მოგებამდე მიიყვანა.

**X ტური:** ბალავაძე — გიორგაძე 0:1, დადიანი — უბილავა 0:1, მიქაძე — მანაშეროვი 1:0, გედევანიშვილი—მიქაელიანი 0,5:0,5, ნეუროხოვი — რაზოვსკი 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: შაქარიანი — ბუსლაევი, ჩახოიანი — ჯანოევი, ტუზოვსკი — კერნაჟიცკი და არჩვაძე — ბიბილაშვილი.

ბალავაძე — გიორგაძის პარტიაში შავებმა კარგად გაითამაშეს დებიუტი და შუა თამაშში წამოიწყეს იერიში ლაზიერის ფრთაზე. ბალავაძემ დაცვის სწორი გეგმა ვერ მონახა, პაიკი დაკარგა, პოზიციაც მძიმე ჰქონდა და თამაშის გაგრძელებას დანებება არჩია. დადიან — უბილავას შეხვედრაში თეთრებმა შუა თამაშში დაასუსტეს თეთრი უჯრები მეფის ფლანგზე. უბილავამ ამით ისარგებლა და პატარა კომბინაციით ეტლში ორი ფიგურა მოიგო. 25-ე სვლაზე დადიანი დანებდა. მიქაძე — მანაშეროვის პარტიაში თეთრებმა მეტოქის ლაზიერის ფრთას პაიკებით შეუტიეს. მანაშეროვი ცუდად იცავდა თავს, მატერიალურად დაზარალდა და მალე დანებდა.

10 ტურის შემდეგ გიორგაძეს 8 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ჯანოევს — 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. 6 ქულა მოაგროვა ნეუროხოვმა. 5,5-5,5 ქულა დაუგროვდათ მიქაძესა და ტუზოვსკის, ოღონდ ამ უკანასკნელს 1 გადადებული პარტია აქვს.

**ა. ბლაგიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**
**ა. ცეხანილი.**

# 4-4 ქულით

მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ქუთაისელ შ. ჩიბურდანიძეს სამი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი და სამივე წააგო — თბილისელებთან ს. კალანდარიშვილთან, ნ. ჩიქობავასთან და თ. ხუგაშვილთან. მ. წერეთელი დამარცხდა ე. ბაშინჯაღიძესთან, ხოლო მ. გაგლოევა — ც. კახაბრიშვილთან. ყაიმით დამთავრდა ნ. გაღაშვილ—ბაშინჯაღიძისა და შ. მამისთვალოვა — კალანდარიშვილის (ყველა —თბილისი) პარტიები.

5 ტურის შემდეგ შეჯიბრებას ორი ლიდერი ჰყავს — თ. კაჭარავა (თბილისი) და ხუგაშვილი — 4-4 ქულა. 3,5 ქულა მოაგროვა კალანდარიშვილმა. 3 ქულა აქვს ბაშინჯაღიძეს, 2,5-2,5 — ჩიქობავასა და ნ. ხუბულურს (თბილისი).

# ჭიდაობას რა უნდა...



საინტერესოდ ჩატარდა რუსთავის პირადგუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ტ. ბლუაშვილი (სპორტკლუბი „ფოლადი“), მ. ალიევი (ქიმიური კომბინატი), ვ. დავითაშვილი („ფოლადი“), გ. ლობჟანიძე (ქიმიური კომბინატი), მ. მეზინი („დინამო“), რ. ნაცვლიშვილი, გ. მაჭარაშვილი, ჯ. ჩიხრაძე (ყველა — „ფოლადი“), ვ. სევერიანოვი (ქიმიური კომბინატი), თ. მერმანიშვილი („შრომითი რეზერვები“).

გუნდური პირველობა დამაჯერებლად მოიგეს „ფოლადის“ მოჭიდავეებმა, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ქიმიური კომბინატისა და „შრომითი რეზერვების“ გუნდები.

* * *

სურათზე: ასპარეზობის მომენტი.

რ. გაბრიელიძის ტექსტი და ფოტო.

# მასობრიობა, ფართო გეოგრაფია და 14 ოსტატი

ამ ტურნირში თოთხმეტმა კაცმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. თოთხმეტი ახალი ოსტატი შესანიშნავი ატესტაციაა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა რესპუბლიკური ჩემპიონატისთვის, რომელიც ამას წინათ ბათუმში გაიმართა. ასპარეზობაში 170 ათლეტი მონაწილეობდა და ბევრმა მზარდი ოსტატობა გამოავლინა.

თავისუფალი ჭიდაობა უყვართ საქართველოში და მას ახალგაზრდობა გატაცებით ეწაფება (ამ ტურნირში 170 ათლეტი მონაწილეობდა!). ესაა მიზეზი, რომ ყოველწლიურად იზრდება და ფართოვდება მაღალი კლასის ოსტატთა გეოგრაფია. აი, ახლაც, გადახედეთ ჩემპიონატის პრიზიორთა სიას: აქ არიან თბილისელი და ქუთაისელი ათლეტები, არიან აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლები, არიან პრიზიორები ონიდან, რუსთავიდან, მცხეთიდან. სასიხარულოა, როცა რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში დედაქალაქის სპორტსმენებს სერიოზულ მეტოქეობას უწევენ რაიონების წარმომადგენლები.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, როგორ გაინაწილეს საპრიზო ადგილები ქალაქებმა:

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 3 | 2 |
| ბათუმი | 3 | 2 | 2 |
| სოხუმი | 1 | 3 | — |
| ქუთაისი | — | 1 | 2 |
| მცხეთა | — | 1 | — |
| ონი | — | — | 3 |
| რუსთავი | — | — | 1 |

ჩემპიონატში პირველად მიიღეს მონაწილეობა თელავისა და წითელი წყაროს მოჭიდავეებმა. ესეც სასიამოვნო ფაქტია. იმ თოთხმეტ სპორტის ოსტატს შორის, რომლებმაც პირველად შეასრულეს ნორმატივი, არიან ახალციხის, კასპის, ცხინვალის, ონის წარმომადგენლები. აი, სწორედ ამას ჰქვია მასობრივი ზრუნვა მაღალი კლასის ოსტატთა აღზრდისთვის.

რამდენიმე სიტყვა პრიზიორებსა და იმათზე, ვინც ადრე თუ გვიან ნაკრებში ვეტერანები უნდა შეცვალოს. პირველ ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ თბილისელი ი. მაღალაშვილი, რომელიც უწინ 48 კგ წონითს კატეგორიაში გამოდიოდა, ბათუმში კი ზედა წონაში სცადა ძალა და თავი გამოიჩინა კიდეც. როგორც ჩანს, მას შეუძლია 52 კგ წონაშიც საკმაოდ სტაბილურ შედეგებს მიაღწიოს.

სოხუმელი ნ. ღვინჯილიას გამარჯვება ქვემსუბუქ წონაში მოულოდნელი არ იყო, მაგრამ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი ოსტატობა ამ ბოლო დროს შესამჩნევად გაიზარდა. კარგი მონაცემები აქვს მსუბუქი წონის ახალგაზრდა სპორტსმენს ა. პოპოვს („შრომითი რეზერვები“). იგი პირველად მონაწილეობს ასეთ დიდ ტურნირში და უნდა ითქვას, რომ წარმატებით გაართვა თავი სირთულეს. რაც მთავარია, პოპოვმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

პერსპექტიული მოჭიდავეა ქუთაისელი ა. ჩუბინიძეც (74 კგ). მას კარგი ფიზიკური მონაცემები აქვს და სათანადო წვრთნის შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება.

მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ მეორე საშუალო წონის ათლეტთა ფინალურ შერკინებას. ხალიჩაზე ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ სსრ კავშირის ნაკრების წევრები, მსოფლიო ჩემპიონი ლ. თედიაშვილი და სოხუმელი გ. მარშანია. მაგრამ მათი ჭიდილი ნაკლებად საინტერესო გამოდგა. მეტოქეებს, რომლებიც ზედმიწევნით იცნობენ ერთმანეთს, ფაქტიურად შეცდომა არ დაუშვიათ. გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა.

**ნ. ახვლედიანი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ბათუმი.

* * *

გთავაზობთ პრიზიორთა სამეულებს.

48 კგ. 1. შ. ბერიძე (ბათუმი), 2. გ. ქელეხსაევი (თბილისი), 3. გ. ჩალაძე (ონი).

52 კგ 1. ი. მაღალაშვილი (თბილისი), 2. შ. იაკობიძე (ბათუმი), 3. დ. ქაშიბაძე (ონი).

57 კგ. 1. ნ. ღვინჯილია (სოხუმი), 2. მ. ჩხაიძე (მცხეთა), 3. რ. ცაბაძე (ქუთაისი).

62 კგ. 1. რ. დობორჯგინიძე (ბათუმი), 2. ვ. ვალიშვილი, 3. ა. პოპოვი (ორივე — თბილისი).

68 კგ. 1. ფ. გაგუა, 2. თ. ცანავა, 3. რ. მელაშვილი (სამივე — ბათუმი).

74 კგ. 1. ტ. როსტომაშვილი, 2. დ. თედეევი (ორივე — თბილისი), 3. ა. ჩუბინიძე (ქუთაისი).

82 კგ. 1. შ. ახმედოვი (თბილისი), 2. ი. ბუბაშვილი (სოხუმი), 3. მ. მაისურაძე (ონი).

90 კგ. 1. ლ. თედიაშვილი (თბილისი), 2. გ. მარშანია (სოხუმი), 3. ტ. გურჩმაზაშვილი (ბათუმი).

100 კგ. 1. ზ. ნიკურაძე (თბილისი), 2. რ. ხუტაბა (სოხუმი) 3. ნ. მერმანიშვილი (რუსთავი).

მძიმე. 1. ს. გოგნაძე (თბილისი), 2. რ. მჭედლიძე (ქუთაისი), 3. რ. ჭაკვეტაძე (თბილისი).

# უფროსებს ჭაბუკებმა აჯობეს

თბილისში დიდი ინტერესი გამოიწვია კლასიკური სტილის მოჭიდავეთა რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა ჭაბუკებსა და უფროსებს შორის, ასპარეზობაში მონაწილეობდა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების 273 ათლეტი. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის მოჭიდავეები, რომლებმაც ამ შეჯიბრებაშიც ისახელეს თავი და, საერთოდ, რესპუბლიკის ნაკრებს ყოველწლიურად სრულფასოვან შევსებას აძლევენ.

შეჯიბრებამ ბევრი პერსპექტიული ჭაბუკი მოჭიდავე გამოავლინა. მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ თბილისელები ტ. ფსუტური და ვ. ზურაბიანი, ცხაკაიელი ნ. ნაკაშიძე, გლდანელი ა. მაისურაძე, მახარაძელი ვ. ბლაგიძე... თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ზემოჩამოთვლილი ათლეტები სავსებით ჩამოყალიბებული მებრძოლები არიან, დახვეწილი ტექნიკა და ტაქტიკა აქვთ.

სხვაგვარი სურათი ვიხილეთ უფროსების ტურნირში. აქ ხშირი იყო უხალისო, უფერული შეხვედრები. სწორედ ამიტომ, ჩემპიონატში საუკეთესო ტექნიკისთვის დაწესებული ჯილდოები გადაეცათ ჭაბუკ სპორტსმენებს და არა უფროსებს. ჯილდოები მიიღეს ფსუტურმა, ნაკაშიძემ და სოხუმელმა ა. მინასიანმა (ჯილდოები ჭაბუკებს გადასცა წარსულში სახელგანთქმულმა მოჭიდავემ, ხალიჩის ვეტერანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. მაჩკალიანმა).

აღსანიშნავია ზოგიერთი სპორტსმენის უდისციპლინო საქციელი. ისინი გამუდმებით ეკამათებოდნენ მსაჯებს და ზოგჯერ უწმაწურ სიტყვებსაც ხმარობდნენ. ცხადია, მსაჯთა კოლეგიამ ეს მოჭიდავეები შეჯიბრებიდან მოხსნა. დასჯილთა შორის იყვნენ ქუთაისელები ტ. გაბუნია და ა. შეყრილაძე, თბილისელები ი. მელქაძე და ნ. გუჯაშვილი.

**ვ. კოზელაშვილი.**

გთავაზობთ პრიზიორთა სიებს:

**მოზრდილები**

48 კგ. 1. დ. ბაქრაძე, 2. ბ. სანაია (ორივე — თბილისი).

52 კგ. 1. ა. ოგანეზოვი, 2. მ. მელია (ორივე — თბილისი), 3. გ. ოქსუზიანი (სოხუმი).

57 კგ. 1. ლ. გაბისიანი, 2. რ. გამბაროვი, 3. ა. მირზოიანი (სამივე — თბილისი).

62 კგ. 1. მ. ბაბუხადია (ქუთაისი), 2. გ. ჯოხაძე, 3. რ. ვარდანიანი (ორივე — თბილისი).

68 კგ. 1. ზ. დუმბაძე (ბათუმი), 2. დ. კუპრაძე (მახარაძე), 3. ხ. ალხაზოვი (სოხუმი).

74 კგ. 1. ს. გლოველი, 2. ი. ბერიშვილი, 3. ე. დარჩია (სამივე — თბილისი).

82 კგ. 1. გ. ხუჭუა, 2. გ. მორგოშია, 3. ი. წიკლაური (სამივე — თბილისი).

90 კგ. 1. ი. ჩხარტიშვილი, 2. გ. ბარჯაძე, 3. ნ. ლუჭაშვილი (სამივე — თბილისი).

100 კგ. 1. მ. მორჩილაძე, 2. ნ. მირაქოვი, 3. გ. ბერიშვილი (სამივე — თბილისი).

მძიმე. 1. თ. ქურციკიძე (თბილისი), 2. ზ. ბობოხიძე (ქუთაისი), 3. ო. ცუხიშვილი (რუსთავი).

* * *

უმცროს ასაკში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ნ. ნაკაშიძე (ცხაკაია), ვ. ბლაგიძე (მახარაძე), რ. აბრამიშვილი (გლდანი), ნ. მაჭარაშვილი, მ. კახელიშვილი (ორივე — თბილისი), ა. ტურაბელიძე (ქუთაისი), ვ. ზურაბიანი (თბილისი), ა. მინასიანი (სოხუმი), გ. დოლუზაშვილი, მ. სალაძე (ორივე — თბილისი), ა. მაისურაძე (გლდანი).

**მაიაკოვსკი**

რაიონის მოსწავლე მძლეოსანთა შეჯიბრებაში 16 საშუალო და 8-წლიანი სკოლის 144 წარმომადგენელი მონაწილეობდა. საშუალო სკოლების გუნდებს შორის 1 ადგილი დაიკავა ობჩის მე-2 სკოლის ნაკრებმა. რვაწლიან სკოლებში პირველობა მაიაკოვსკის 1-ლი სკოლის გუნდს დარჩა.

**ვ. გარუჩავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

გორელებმა საკმაო უპირატესობით ჩაატარეს ტაიმი, შედეგს კი ვერ მიაღწიეს. შემდეგ მათი მეკარისა და მცველის შეცდომის შედეგად ქობულეთელ ბეჟანიძეს ანგარიშის გახსნის საშუალება მიეცა. მალე ასეთივე ამბავი გამეორდა „შუქურას" საჯარიმო მოედანზე და გურაშვილმა საპასუხო ბურთი გაიტანა. მატჩის ბედი გადაწყდა მე-80 წუთზე, როცა ორაგველიძის დარტყმამ მიზანს მიაღწია.

● „ფეიქარი" (წულუკიძე) — „ისანი" (თბილისი) 2:1. მსაჯი გ. ვუჯაბიძე (ფოთი).

ამ მატჩში ურთიერთ უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევეს წულუკიძელი ა. მანაგაძე და თბილისელი რ. ტარზიანი.

● „განთიადი" (ბორჯომი) — „სამცხე" (აწყური) 2:2. მსაჯი ო. კალანდაძე (თბილისი).

შესვენებამდე სტუმრებმა საუკეთესოდ ითამაშეს და საგრძნობლადაც დაწინაურდნენ — 2:0 (ორივე ბურთი გაიტანა ზუბოვმა). მეორე ტაიმში ბორჯომელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და დამარცხებასაც დააღწიეს თავი (გუგუბერიძე, პეტროსიანი).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიეცა აწყურელ ვ. რეხვიაშვილს.

● „მეშახტე" (ტყიბული) — „სულორი" (ვანი) 3:2. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

მატჩი საინტერესო ბრძოლაში წარიმართა; ორივე გუნდმა კარგად ითამაშა. მე-13 წუთზე დაწინაურდნენ სტუმრები (ნეფარიძე), ხოლო თანაფარდობა ძაგნიძემ აღადგინა. მეორე ტაიმში დაწინაურდნენ უკვე ტყიბულელები (გიორგობიანი) და ანგარიშის გათანაბრება მოუხდა „სულორს" (ჩახუნაშვილი). გადამწყვეტი ბურთი 83-ე წუთზე გაიტანა ლორთქიფანიძემ.

მინდვრიდან გაძევებულია ტყიბულელი ი. ჩიხოვეი, გაფრთხილება მიეცათ ბ. თოდრიძეს („მეშახტე") და ა. ლორთქიფანიძეს („სულორი").

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „გიგანტი" (ლაითური) 1:0. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

● „სინათლე" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური) 0:1. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

თბილისელებმა ვერ შეძლეს თავიანთი საგრძნობი უპირატესობის რეალიზება. სამაგიეროდ, ხაშურელმა ულუმბელაშვილმა კარგად გამოიყენა თავისი გუნდის ერთ-ერთი კონტრიერიში.

უწესო საქციელისთვის გაფრთხილება მიეცა ი. ბურჯანაძეს („ივერია").

● „კახეთი" (თელავი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 2:3. მსაჯი ე. ჩიბჩიური (თბილისი).

● „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

უნდა აღინიშნოს, რომ გარდაბნელთა სტადიონის სათამაშო მინდორი უვარგისია, რაც ფეხბურთელებს საგრძნობლად უშლის ხელს. ამ მატჩში ზესტაფონელებს გამარჯვება მოუტანა კიკნაველიძის ბურთმა.

გაფრთხილებულია გარდაბნელი გ. ბაქანიძე.

● „დინამო" (ზუგდიდი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 3:1. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

### მეორე ჯგუფი

#### I ზონა

„შევარდენი" (თბილისი) — „ბარისი" (თეთრი წყარო) 1:0, „არაგვი" (დუშეთი) — „დურუჯი" (ყვარელი) 3:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „მევენახე" (ბოლნისი) 1:0, „ციսკარი" (სიღნაღი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 1:1, „ავტომობილისტი" (ცხინვალი) — „მევენახე" (ვაზისუბანი) 7:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) 2:0, „ვარძია" (ასპინძა) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:0.

#### II ზონა

„დინამო" (ქუთაისი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:1, „იმერეთი" (თერჯოლა) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 1:1, „მზიური" (გალი) — „კომეტა" (ფოთი) 1:0, „დიოსკურია" (სოხუმი) — „განთიადი" (აბაშა) 3:0, „მაღაროელი" (ჭიათურა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 3:0, „სალხინო" (მაიაკოვსკი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 0:0, „განახლება" (ადიგენი) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 2:1.

### გათამაშების ცხრილები

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 20 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 14 | 9 | 3 | 2 | 20—14 | 21 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 14 | 8 | 4 | 2 | 18—7 | 20 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 13 | 8 | 2 | 3 | 27—13 | 18 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 14 | 6 | 5 | 3 | 23—16 | 17 |
| „სულორი" (ვანი) | 14 | 6 | 4 | 4 | 16—9 | 16 |
| „სამცხე" (აწყური) | 13 | 6 | 4 | 3 | 22—17 | 16 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 14 | 6 | 4 | 4 | 18—17 | 16 |
| „სინათლე" (თბილისი) | 13 | 5 | 5 | 3 | 14—9 | 15 |
| ასკ (თბილისი) | 11 | 5 | 3 | 3 | 14—8 | 13 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 13 | 4 | 5 | 4 | 14—11 | 13 |
| „კახეთი" (თელავი) | 13 | 5 | 3 | 5 | 17—17 | 13 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 13 | 5 | 3 | 5 | 11—15 | 13 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 14 | 4 | 4 | 6 | 13—18 | 12 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 14 | 3 | 6 | 5 | 7—12 | 12 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 14 | 5 | 2 | 7 | 13—23 | 12 |
| „ივერია" (ხაშური) | 14 | 4 | 4 | 6 | 12—25 | 12 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 14 | 3 | 5 | 6 | 22—21 | 11 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 14 | 4 | 3 | 7 | 11—13 | 11 |
| „ისანი" (თბილისი) | 13 | 4 | 2 | 7 | 12—13 | 10 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 14 | 4 | 1 | 9 | 20—23 | 9 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 14 | 1 | 7 | 6 | 11—17 | 9 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 14 | 2 | 5 | 7 | 6—23 | 9 |

#### II ჯგუფი

მდგომარეობა 19 მაისისთვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავტომობილისტი" (ცხინვალი) | 8 | 6 | 0 | 2 | 24—5 | 12 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 8 | 5 | 1 | 2 | 12—7 | 11 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 8 | 4 | 2 | 2 | 8—4 | 10 |
| „შირაქი" (წითელი წყარო) | 7 | 4 | 2 | 1 | 6—3 | 10 |
| „მევენახე" (ვაზისუბანი) | 7 | 4 | 1 | 2 | 8—14 | 9 |
| „მევენახე" (ბოლნისი) | 6 | 3 | 2 | 1 | 10—7 | 8 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 8 | 4 | 0 | 4 | 10—8 | 8 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 7 | 3 | 1 | 3 | 11—10 | 7 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 8 | 3 | 1 | 4 | 7—13 | 7 |
| „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) | 6 | 3 | 0 | 3 | 11—8 | 6 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 8 | 2 | 2 | 4 | 9—11 | 6 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 7 | 2 | 2 | 3 | 5—8 | 6 |
| „კოლმეურნე" (ტიბაანი) | 7 | 2 | 1 | 4 | 11—14 | 5 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 6 | 2 | 1 | 3 | 5—10 | 5 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 7 | 1 | 2 | 4 | 5—10 | 4 |
| „ბარისი" (თეთრი წყარო) | 5 | 1 | 0 | 4 | 5—9 | 2 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 5 | 1 | 0 | 4 | 6—12 | 2 |

II ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 7 | 5 | 2 | 0 | 18—2 | 12 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 7 | 6 | 0 | 1 | 16—6 | 12 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 8 | 5 | 0 | 3 | 12—9 | 10 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 6 | 4 | 1 | 1 | 18—5 | 9 |
| „განახლება" (ადიგენი) | 7 | 4 | 1 | 2 | 15—9 | 9 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 8 | 4 | 1 | 3 | 11—11 | 9 |
| „საიმურალი" (წყალტუბო) | 6 | 3 | 2 | 1 | 10—4 | 8 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 7 | 4 | 0 | 3 | 11—7 | 8 |
| „მზიური" (გალი) | 7 | 3 | 1 | 3 | 3—10 | 7 |
| „დიოსკურია" (სოხუმი) | 8 | 2 | 1 | 5 | 14—14 | 5 |
| ხდკ (სამტრედია) | 6 | 1 | 3 | 2 | 6—7 | 5 |
| „განთიადი" (აბაშა) | 8 | 2 | 1 | 5 | 4—13 | 5 |
| „სალხინო" (მაიაკოვსკი) | 6 | 1 | 2 | 3 | 9—8 | 4 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 6 | 1 | 2 | 3 | 8—9 | 4 |
| „კომეტა" (ფოთი) | 4 | 1 | 1 | 2 | 3—2 | 3 |
| „კახაბერი" (ხელვაჩაური) | 7 | 1 | 1 | 5 | 7—22 | 3 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 6 | 0 | 1 | 5 | 2—29 | 1 |

## ორი ტურით ადრე

ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები დიდი დაძაბულობით აღინიშნა.

### ზაპოროჟიეში

ვაჟთა ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის შემდეგ შეჯიბრებაში მონაწილე 8 გუნდიდან მხოლოდ ორს — მოსკოვის საავიაციო და ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტების კოლექტივებს არ დაუკარგავთ ქულა. პირველ ტურში საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა კრასნოდარის „უნივერსიტეტი" — 14:13, ხოლო მომავალმა მეტალურგებმა ძლიეს ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის" — 19:9.

მეორე ტურში თბილისის „ბურევესტნიკი" შეხვდა ადგილობრივი მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდს. პირველი ტაიმი ფრედ (7:7) დამთავრდა, შემდეგ კი მასპინძლებმა უპირატესობა მოიპოვეს და გაიმარჯვეს — 13:11.

ამ ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ტაშკენტის „ბურევესტნიკი" (ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის გუნდი) — მოსკოვის „კუნცევო" 17:17, კრასნოდარის „უნივერსიტეტი" — ცსკა 15:15, ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი" — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი 16:17.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალ. ინსტ. | 2 | 2 | 0 | 0 | 32—20 | 4 |
| საავ. ინსტ. | 2 | 2 | 0 | 0 | 31—29 | 4 |
| „ბურ." (თბ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 32—26 | 2 |
| „კუნცევო" | 2 | 0 | 2 | 0 | 30—30 | 2 |
| ცსკა | 2 | 0 | 2 | 0 | 28—28 | 2 |
| „უნივერსიტ." | 2 | 0 | 1 | 1 | 28—29 | 1 |
| „ბურ." (ტაშკ.) | 2 | 0 | 1 | 1 | 30—38 | 1 |
| „ალუმინსტ." | 2 | 0 | 0 | 2 | 25—36 | 0 |

### კაუნასში

ქალთა ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე უძლიერესის სახელი გაინაღდა კიევის „სპარტაკმა", როცა უკანასკნელი, მესამე წრის V ტურში დაამარცხა ბაქოს „სპარტაკი" — 13:10. კიეველებს ახლა 37 ქულა აქვთ და დანარჩენი გუნდებისთვის მიუღწეველი არიან. IV ტურის მატჩები ასე დამთავრდა: „კალინინეცი" (სვერდლოვსკი) — „ლუჩი" (მოსკოვი) 6:11, ბინათმშენებლობის № 3 კომბინატი (კიევი) — „ტექნოლოგი" (მინსკი) 11:8, ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (კიევი) 6:12, „სპარტაკი" (ბაქო) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 13:10.

## მსოფლიო არენა-72

● ლა როშელი (საფრანგეთი), 17 მაისი. „ტემპესტის" კლასში აქ მიმდინარე ევროპული ჩემპიონატის მეხუთე რბოლის შემდეგაც პირველობას საერთო ჩათვლაში საბჭოთა აფროსნების მანკინისა და დირდირას ეკიპაჟი ინარჩუნებს. დასკვნითი რბოლის წინ მათ 16 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ, მაშინ, როცა II ადგილზე მყოფ პოლონელებს ხოლცსა და რუდკოვსკის—24,7 ქულა.

● ფორმია (იტალია), 17 მაისი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში პოლონელმა ლ. გაიძინსკიმ 61,30 მეტრზე ტყორცნა ბადრო, რაც მხოლოდ 2 სანტიმეტრით ნაკლებია მისი ქვეყნის რეკორდზე.

● ლოს-ანჯელესი, 17 მაისი. მძლეოსანთა აქ ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში ნორვეგიის რეკორდი იშვა: კ. ბენდიქსენი 792 სმ სიგრძეზე გადახტა. მწვავე ბრძოლა გაჩაღდა 220 იარდზე რბენაში. გაიმარჯვა იამაიკელმა დ. ქვორიმ — 20,6 წამი (20,4 — 200 მეტრზე). მეორე იყო ამერიკელი ვ. დუკარი — 20,7. 440-იარდიან დისტანციაზე პირველი იყო ჯ. სმითი (აშშ) — 45,8 (45,4 — 400 მეტრზე).

● ტოკიო, 17 მაისი. იაპონელ სტაიერებთან მოასპარეზე კენიელმა მძლეოსანმა, 1500 მეტრზე რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა კ. კეინომ 10 კმ 28 წუთსა და 48,8 წამში გაირბინა.

● პოტსდამი, 17 მაისი. ოლიმპიურ წელიწადს გდრ-ის მტყორცნელები დღითიდღე აუმჯობესებენ თავიანთ შედეგებს. მაგალითად, აქ მოწყობილ შეჯიბრებაში დ. ჰოფმანმა 20,38 მეტრზე ჰკრა ბირთვი, ხოლო ქ. ლომმა 61,80 მეტრზე ტყორცნა ბადრო.

● პარიზი, 17 მაისი. 100 მეტრზე რბენაში ევროპის რეკორდის „თანაავტორმა" რ. ბამბიუკმა (საფრანგეთი) ეს მანძილი 10,2 წამში გაირბინა.

● დარმშტადტი (გფრ), 17 მაისი. საუცხოო შედეგები მოიპოვეს დასავლეთ გერმანიის მძლეოსნებმა. ევროპის ჩემპიონმა უ. ბაიერმა წლევანდელ მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებლით გაიმარჯვა უროს ტყორცნაში — 73,88 მ. მას ოდნავ ჩამორჩა ვ. შმიდტი — 73,38 მ. მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ლ. ვესტერმანმა 62 მეტრზე ტყორცნა ბადრო, რაც მეორე შედეგია წლევანდელ მსოფლიოში.

● ბუდაპეშტი, 17 მაისი. აქ ჩატარებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოასპარეზე ე. იანკომ (ავსტრია) შუბის მტყორცნელ ქალთა შორის წლევანდელ მსოფლიოში საუკეთესო შედეგს მიაღწია — 58,02 მ.

**ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲘᲧᲝ... 19⁴⁵**

◆ ზაპოროჟიე, 19 მაისი. სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის 3 ტურის შემდეგ 6-6 ქულით ლიდერობენ მოსკოვის საავიაციო და ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტების კოლექტივები. შეჯიბრების მესამე დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — თბილისის „ბურევესტნიკი" 27:8 (13:3), ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტი — ტაშკენტის „ბურევესტნიკი" 12:10 (7:4), ცსკა — ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი" 17:13 (6:5), მოსკოვის „კუნცევო" — კრასნოდარის „უნივერსიტეტი" 13:13 (9:8).



## კვლავ სსრ კავშირის ნაკრები და ნელიუბინი

17 მაისს გაიმართა მშვიდობის XXV საიუბილეო ველორბოლის XI ეტაპი: ტრშინეცი — კრაკოვი (152 კმ). ეტაპის 26-ე კილომეტრზე ველოსიპედისტებმა გადაკვეთეს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საზღვარი და პოლონეთის გზებს დაადგნენ. პოლონეთი მესამე ქვეყანაა, სადაც ამ პოპულარული შეჯიბრების ტრასა გადის.

XI ეტაპი ძალიან რთული გამოდგა. გზის მეტი ნაწილი მთებში გადიოდა, თანაც, მრბოლელებს წვიმა და ქარი დაესწროთ. ყოველივე ამას დაემატა მაყურებლების უდისციპლინობა. ერთ-ერთმა მათგანმა, მაგალითად, მოასპარეზეებს 61-ე კილომეტრზე ზედ ცხვირწინ გადაურბინა, რის გამოც ავარია მოხდა: ზედახორაში 11 ველოსიპედისტი, მათ შორის, გდრ-ის წარმომადგენელი მილდე, დაშავდა. პირად ჩათვლაში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი მილდე შეჯიბრებას გამოეთიშა.

ყველაფერი კრაკოვის მისადგომებთან გადაწყდა. ამ ქალაქის ქუჩებში მძლავრი ბიძგით დაწინაურდნენ პოლონელი ლაბოხა და მაროკოელი ნახლი. სტადიონის ბილიკზე საფინიშო ხაზი პირველმა ნახლიმ გადაკვეთა 3:36.45. მეორე იყო ლაბოხა (3:37.15), ხოლო მესამე — ლენინგრადელი ნელიუბინი — 3:37.36 (ბონიფიკაციის ჩათვლით).

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს მაროკოელებმა — 10:52.27. II ადგილი დაიკავა საბჭოთა ნაკრებმა (10:52.47), III — პოლონელთა კოლექტივმა (10:52.54).

გათამაშდა საუკეთესო სამთო მრბოლელის წოდება. იგი 38 ქულით მოიპოვა პოლონელმა შურკოვსკიმ. II ადგილზეა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი გორელოვი (26 ქულა), IV — ნელიუბინი (22), V — მოსკოველი დმიტრიევი (15).

18 მაისს გაიმართა XII ეტაპი: კრაკოვი — ჟეშუვი (156 კმ). გაიმარჯვა კიშინიოველმა ი. მოსკალიოვმა — 3:54.00. მეორე იყო ლაბოხა (3:54.37), ხოლო III — ფრანგი ჟ.-კ. მანიი — 3:54.52 (ბონიფიკაციის ჩათვლით). მეათე შედეგი აჩვენა დმიტრიევმა — 3:55.25.

12 ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში კვლავინდებურად ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები (119:57.45), ხოლო პირადში — ნელიუბინი (39:59.31). საბჭოთა გუნდს 3 წუთითა და 18 წამით ჩამორჩება ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, ხოლო 3 წუთითა და 57 წამით — გდრ-ის გუნდი.

ნელიუბინს 7 წამით ჩამორჩება მორავეცი (ჩეხოსლოვაკია). III ადგილზეა კიუნი (გდრ) — 40:00.21.

დანარჩენი საბჭოთა ველოსიპედისტების შედეგები: IV. გორელოვი (40:00.40), V. გუსიატნიკოვი (40:01.06), VIII. მოსკალიოვი (40:02.32), XII. დმიტრიევი (40:03.47), XX. მელოუსოვი (40:13.13).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფავორიტი III ადგილზე

თბილისის ზღვის მიდამოებში გაიმართა წლევანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატი მიკროლიტრაჟიანი მანქანებით. შეჯიბრებაში დედაქალაქის (ორი გუნდი), ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, თელავის, ახალციხის, გარდაბნის, ცხაკაიას, მახარაძის, სიღნაღის, ფოთის ავტო-მოტოკლუბებისა და სპორტულ-ტექნიკური კლუბების გუნდები მონაწილეობდნენ. ავტო-მოტო და სპორტულ-ტექნიკური კლუბებისთვის პირველობები ცალ-ცალკე გათამაშდა.

საქართველოს კარტინგისტებს კარგი ტრადიციები აქვთ: მათ ბევრჯერ უსახელებიათ თავი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში. საკავშირო სარბიელზე კარგად გამოდიან თბილისელები რ. და თ. ხიდეშელები, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების მსმენელი რ. აკოფოვი კი ქვეყნის ნაკრების წევრია და ახლაც საერთაშორისო ტურნირებისთვის ემზადება.

სწორედ ამ მზადების ნაწილი გახლდათ აკოფოვის გამოსვლა რესპუბლიკურ ჩემპიონატში 125 კბ სმ მოცულობის მანქანებით. აქ მან სამივე ცდით მანქანის მართვის უბადლო ოსტატობა გამოავლინა და ყველა მეტოქეს საგრძნობი უპირატესობით აჯობა.

ჩემპიონობისთვის აკოფოვი მხოლოდ 175 კბ სმ მანქანებით რბოლაში იბრძოდა. პირველი ცდა მან იოლად მოიგო, მაგრამ მეორე ცდაზე, როცა ფინიშამდე ოთხი წრე იყო დარჩენილი, მანქანა დაუზიანდა და რბოლას გამოეთიშა. ამან სპორტის ოსტატ ო. ხარაძეს (თბილისი) დაწინაურების საშუალება მისცა, მაგრამ მესამე მარყუჟში ხარაძეს ვიღაცა დაეჯახა, მანქანის ძრავა ჩაუქრა და ჩამორჩა.

ამის მიუხედავად, აკოფოვს და ხარაძეს ჩემპიონობა დაკარგული არ ჰქონდათ. კარტინგებით შეჯიბრების წესების თანახმად, უძლიერესის სახელი იმ სპორტსმენს ენიჭება, რომელიც სამი ცდიდან საუკეთესო შედეგს (ყველაზე ნაკლებ საჯარიმო ქულას) აჩვენებს.

მოზარდებს ყოველ ცდაზე წრე ექვსჯერ უნდა შემოევლოთ, უფროსებს — 12-ჯერ.

გამარჯვებულნი პირველად მოზარდთა შეჯიბრებაში გამოვლინდნენ. 50 კბ სმ მოცულობისძრავიანი კარტინგებით რბოლაში თბილისელმა რ. ჯასაძემ გაიმარჯვა. II ადგილი ხვდა თელაველ კ. ვახტანგაშვილს. აქ მესამე პრიზიორი არ გამოვლინდა, ვინაიდან სხვა მონაწილეებმა რბოლა ვერ დაამთავრეს.

„125-ანებით" ჭაბუკთა ტურნირიც თბილისელმა მოიგო: რ. ხიდეშელს ბადალი არ ჰყავდა და ოქროს ჟეტონიც დაისაკუთრა. II ადგილი მოიპოვა რ. ოჩიგავამ (ქუთაისი), III — პ. კუტინკომ (ახალციხე).

„125-ანებით" მოასპარეზე მოზრდილთა შეჯიბრებაში რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა თ. ხიდეშელი. II და III ადგილებზე აქაც ქუთაისელი (თ. ნიკურაძე) და ახალციხელი (ჭ. მაისურაძე) კარტინგისტები გავიდნენ.

ყველაზე მეტმა (19) მონაწილემ „175-ანებით" რბოლაში მოიყარა თავი. მესამე ცდა განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა. რბოლას ტემპი აკოფოვმა, ხარაძემ და ბათუმელმა ვ. ვასილიევმა მისცეს. აკოფოვისა და ხარაძის წარუმატებლობის შემთხვევაში ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი ვასილიევს ჰქონდა.

აკოფოვს მანქანამ ისევ უმტყუნა. მართალია, ამჯერად სპორტსმენს სარბიელი არ დაუტოვებია, მაგრამ ვიდრე რბოლაში კვლავ სრული სისწრაფით ჩაებმებოდა, მეტოქეებმა საგრძნობლად გაუსწრეს. მერე ხარაძე რბოლას საერთოდ გამოეთიშა.

ამრიგად, პირველობა ვასილიევმა დაისაკუთრა. თბილისელი მ. ბოლქვაძე-წარიაშვილი II ადგილზე გავიდა. აკოფოვი III ადგილს დასჯერდა.

საქართველოს სპორტსმენებს წინ აქვთ საკავშირო ტურნირები, რომლებიც მოზარდებისთვის ერთ ეტაპად გაიმართება, ხოლო უფროსებში უძლიერესებს ორი ეტაპის ჯამი გამოავლენს.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათებზე: რბოლის სტარტი; მეოთხე მარყუჟის დაძლევისას.

ავტორის ფოტოები.





ფეხბურთი

# სსრ კავშირი — უნგრეთი, ბელგია — გფრ

17 მაისს გამოვლინდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალების მეოთხე მონაწილეც. ბელგრადში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და რუმინეთის ნაკრები გუნდები, რომლებმაც მანამდე ორჯერ ფრედ ითამაშეს: ბუდაპეშტში — 1:1, ბუქარესტში — 2:2.

დამატებითი შეხვედრა ნეიტრალურ მინდორზე უნგრელებმა მოიგეს — 2:1. ანგარიში 26-ე წუთზე გახსნა კოჩიშმა, მერე ნიაგუმ საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ 88-ე წუთზე სიოკემ მიიღო ბურთი, გაიტანა და ზუსტი დარტყმით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

ფეხბურთის ასოციაციათა ევროპულმა კავშირმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კონტინენტის ჩემპიონატის დასკვნით ტურნირს უმასპინძლებს ბელგია. ამ ტურნირის ჩატარების პირველი კანდიდატი იყო ინგლისი, მაგრამ ვინაიდან ამ ქვეყნის გუნდმა ნახევარფინალს ვერ მიაღწია, შეჯიბრების ორგანიზატორობა ბელგიელებს დაევალათ.

ბელგიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა ჩემპიონატის გადამწყვეტი თამაშების კალენდარი. ნახევარფინალები გაიმართება 14 ივნისს. ამ დღეს ლიეჟში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირი და უნგრეთი, ხოლო ბრიუსელში ითამაშებენ ბელგია და გფრ. 17 ივნისს ანტვერპენში შედგება მატჩი III ადგილისთვის, ხოლო 18 ივნისს ბრიუსელში — ფინალი.

# ჰოლანდია თუ ბულგარეთი?

ახალგაზრდა ფეხბურთელთა ევროპული ტურნირის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა, რომელმაც განმეორებითი შეხვედრა კოშიცეში მოუგო შვეციის გუნდს — 3:1. გათამაშების შემდგომ ეტაპზე ჩეხოსლოვაკიელები საბერძნეთის ნაკრებს შეხვდებიან.

სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მოწინააღმდეგეს გამოავლენს ჰოლანდიისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრა.

# მესამე წაგება

ევროპის ჭაბუკ ფეხბურთელთა ჩემპიონატში (ესპანეთი) სსრ კავშირის ნაკრებმა მესამე მარცხის სიმწარე იწვნია, ამჯერად შოტლანდიელებისგან — 0:2.

წინასწარი შეჯიბრების ბოლო წრეში ინგლისელებმა დაამარცხეს იუგოსლავიის ნაკრები — 1:0, დასავლეთგერმანელებმა — უნგრელები — 3:2, ესპანელებმა — მალტელები — 6:0, პოლონელებმა — ნორვეგიელები — 4:0.

ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ინგლისის, პოლონეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ესპანეთის გუნდებმა. ინგლისელებმა, ესპანელებმა და პოლონელებმა თავიანთ ჯგუფებში 5-5 ქულით I ადგილები დაიკავეს. გფრ-ის, შოტლანდიისა და უნგრეთის ფეხბურთელებმა 4-4 ქულა დააგროვეს — გერმანელებს უპირატესობა მიენიჭათ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი ბალანსით.

# თასი — „ტოტენჰემ ჰოტსპურს"

დამთავრდა უეფა-ს თასის გათამაშება, რომლის დებულებითაც ფინალისტები ორჯერ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ამ გადამწყვეტ მატჩებში იბრძოდნენ ინგლისის გუნდები — „ტოტენჰემ ჰოტსპური" და „ვულვერჰემპტონ უონდერერსი".

ფინალისტთა მეორე შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. პირველი თამაში მოგებული ჰქონდა „ტოტენჰემს" (3:2), რომელიც დაეუფლა კიდეც თასს.

# „დერბი ქაუნთი" ჩემპიონი გახდა

ინგლისის ჩემპიონატი „დერბი ქაუნთის" გამარჯვებით დამთავრდა. ეს გუნდი ოდესღაც I ლიგაში თამაშობდა, შემდეგ მას მოუხდა II ლიგაში ჩამოქვეითება, მაგრამ ბოლო სამი წელია კვლავ დაუბრუნდა უძლიერესთა რიგებს და ამ ხნის განმავლობაში შეძლო ასეთი დიდი ნახტომის გაკეთება.

ინგლისელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ „დერბი ქაუნთის" აშკარად გაუმართლა: მისმა კონკურენტებმა — „ლიდსმა" და „ლივერპულმა" ბოლო ტურში დაკარგეს საჩემპიონო ქულები და „დერბი" I ადგილზე აღმოჩნდა. მას 58 ქულა აქვს, „ლიდსს", „ლივერპულსა" და „მანჩესტერ სიტის" კი 57-57.

# 3:3, 3:1

**ჯაკარტა**, 18 მაისი. ინდონეზიისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

**ნაირობი**, 18 მაისი. კენიის ნაკრებმა თავის მინდორზე ამხანაგურ მატჩში სძლია მალაიზიის გუნდს — 3:1.

# პირველ ადგილზე

კონსტანცაში ძალოსანთა ევროპულ ჩემპიონატზე გათამაშდა მედლების კიდევ ორი კომპლექტი: ასპარეზობა დაამთავრეს ქვესაშუალო და საშუალო წონის ათლეტებმა.

ქვესაშუალო წონაში როგორც სპეციალისტთა, ისე ძალოსნობის მოყვარულთა უმრავლესობას, გამარჯვების ნაღდ პრეტენდენტად ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ვ. კურენცოვი მიაჩნდა. მაგრამ სახელოვან საბჭოთა ძალოსანს ღირსეული მეტოქეობა გაუწია 21 წლის ბულგარელმა ათლეტმა ი. ბიკოვმა, რომელმაც გაიმარჯვა ევროპული რეკორდით — 477,5 კგ. მას 5 კგ-ით ჩამორჩა კურენცოვი. ბრინჯაოს დიდი მედალი ხვდა იტალიელ ა. სილვინოს — 460 კგ.

კურენცოვი ბიკოვზე 10 წლით უფროსია. მან კონტინენტის ჩემპიონატებში მერვედ აიღო სტარტი, მაშინ, როცა მისი ახალგაზრდა მეტოქე დიდ ასპარეზზე მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს. კურენცოვმა ოქროს მცირე მედალი მოიგო აჭიმვაში. ატაცში ასეთივე ჯილდო დაიმსახურა ფრანგმა ა. ტერმმა. აკვრაში შეუდარებელი გახლდათ ბიკოვი.

საშუალო წონაში მოსალოდნელი იყო, რომ მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი, საბჭოთა ძალოსანი ბ. პავლოვი შეეცდებოდა დაებრუნებინა რეკორდი სამჭიდში, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი მიზანი ამჯერად მხოლოდ ოქროს ციდი მედლის მოხვეჭით განისაზღვრებოდა. ეს მან შეხანიშნავად შეძლო — სამჭიდში 512,5 კილოგრამით კონტინენტის ჩემპიონობა გაინაღდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იგი თავის საუკეთესო მიღწევას — 515 კილოგრამს, რომელიც ამ ტურნირამდე ხუთი დღის უკან მსოფლიო რეკორდად ითვლებოდა, 2,5 კილოგრამით ჩამორჩა.

II ადგილზეა ნორვეგიელი ლ. ენსენი — 505 კგ. ბრინჯაოს დიდი მედალი ხვდა ოლიმპიურ ჩემპიონს, სახელგანთქმულ ფინელ ძალოსანს კაარლო კანგასნიემის — 495 კგ.

6 წონითი კატეგორიის ძალოსანთა შეჯიბრების შემდეგ საბჭოთა ნაკრებმა 35 ქულა მოაგროვა და გუნდურ ჩათვლაში I ადგილზეა. მას 5 ქულით ჩამორჩება ბულგარელთა კოლექტივი. III ადგილზე არიან პოლონელები — 29 ქულა.

**ბუდაპეშტი**, 18 მაისი. გუშინ აქ დამთავრდა თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა საერთაშორისო ტურნირი. I ადგილი დაიკავა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ა. ბალცომ (უნგრეთი) — 5303 ქულა. II ადგილზე გავიდა ლვოველი პ. ლედნიოვი, (5150), III — უნგრელი პ. ბაკო (5056).

# წინაოლიმპიური დათვალიერება

ტურნირში 12 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობდნენ. როგორც სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ო. ჩუვილინმა განაცხადა, შეჯიბრება ერთობ სასარგებლო იყო, ვინაიდან მიუნხენის ოლიმპიადისთვის ძალთა დათვალიერებად მოგვევლინა. მან თქვა, რომ უნგრელები საუცხოო ფორმაში არიან. საბჭოთა სპორტსმენები თავიანთ შესაძლებლობებზე გაცილებით უარესად გამოვიდნენ საცხენოსნო კროსსა და ფარიკაობაში. სროლაში, ცურვასა და მძლეოსნურ კროსში კარგი შედეგების მიუხედავად, მათ დანაკარგი ვერ აინაზღაურეს.

## ყველაზე სწრაფი გარბენი

ფრესნო (აშშ), 19 მაისი. ოლიმპიურ წლიწადს მსოფლიოში ყველაზე სწრაფი გარბენი გამოდგა აქ გამართული შეჯიბრება 100 მეტრზე. ამერიკელმა უ. ედმონსონმა ეს მანძილი 10 წამში დაფარა, ხოლო ვ. დეკარტა, ე. ჰარტმა (ორივე — აშშ) და მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ლ. მილერმა (იამაიკა) — 10,1 წამში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული ვიტრინა

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი. ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა ტურნირი. დასაწყისი: დღეს — 11 ს., ხვალ — 17 ს.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, გლდანის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატი, მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი მძლეოსნობაში

**ბორის ვიქტორის ძე ტახტაროვი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14 უე 02589